ხელშეკრულება №25

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წალკა 14 მაისი 2018წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა (II თავის მე-10 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი) და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად წალკის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (ს/კ 243126185) მისი დირექტორის მერსიდა მეზიროვას სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ერთობა 2011" (ს/კ 443119046) მისი დირექტორის ავთანდილ ზოიძის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია წალკის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება სკოლამდელი აღზრდის ცენტრი-სათვის *(CPV 44400000)*

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 შესასყიდი საქონლის ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს

2.2 "შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახორციელებს "მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონლის შემდეგ:

2.3 თუ საქონლის მიწოდების პროცესმა მოითხოვა ცალკეული გადაწყვეტილების შეცვლის აუცილებლობა, პირველადი პირობების განსხვავებით "შემსყიდველის" მოთხოვნით გაფორმდება დამატებითი ხელშეკრულება, მათი ვადებისა და ღირებულების ჩვენებით.

2.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

3.საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ "მიმწოდებლის" და "შემსყიდველის" მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2. მიწოდების ადგილია ქ.წალკა,

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 31 დეკემბრის ჩათვლით , შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

4.4. მომსახურების გაწევის პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას.

5. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

5.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე,ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

5.3 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავის ვალდებულებები.

6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

6.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს,რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

6.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

7. გამოყენებული სამართალი

7.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8. გამოყენებული ენა

8.1 ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულებული იქნმება ქართულ ენაზე.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

9.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

10.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება "მიმწოდებლის" მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან წერილობითი შეტყობინების შემდეგ;

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება იდება ხელმოწერიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ფორს-მაჟორი

2.1 მხარეები თავისუფლდებიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორულ გარემოებათა დროს (სტიქიური მოვლენები, საომარი მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობა და სხვა).

13. სხვა პირობები

13.1 მხრეები ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

" შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
წალკის მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს ,,ერთობა 2011"
ბაგა-ბაღების გაერთიანება	
სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	
ქ. წალკა, ჭელიძის ქ #59	ქ. წალკა, რუსთაველის ქ. №87
ს/კ 243126185	ს/კ 443119046
	ა/ნ **GE07LB0113133277259000**
	ს.ს "ლიბერთი ბანკი"
	ბ/კოდი **LBRTGE22**
დირექტორი: მელსიდა მეზიროვა	დირექტორი: ავთანდილ ზოიძე
დირექტორი: მერსიდა მეზიროვა	დირექტორი: ავთანდილ ზოიძე
----------	----------
ბ.ა (ხელმოწერა)	ბ.ა (ხელმოწერა)